პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის და პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГРУЗИНСКОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 ივნისი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 112 (10031) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

იმედი

ჩემპიონატის ეკო

ასე შეიძლება შევაფასოთ სპორტულ სარბიელზე ახალგაზრდა ნიჭიერი ათლეტის ცხენგასული კახი კახიაშვილის გოლოდრომინდელი მიღწევები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ ახალგაზრდა ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე ცხენგასული კახი კახიაშვილის წარმატება თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულია. განსაკუთრებულია არა მარტო იმიტომ, რომ ახალგაზრდებს შორის ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონი არ გვყოლია, არამედ იმიტომაც, რომ ქართული ძალოსნობის დღრძინების ამქვეი ჩაგვესახა. წინასწარ, ცხადია, ძნელია ამ შესანიშნავი ახალგაზრდის მომავალზე ლაპარაკი, მაგრამ ის, რომ ამ სპორტსმენს დღეს თავის ტოლებში მოსაფიქრალი არა ჰყავს, ბევრს გვეუბნება. საგულისხმოა ისიც, რომ კახი კახიაშვილი ამ სპორტის კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრობამდე ერთხელაც არიჩიეს გუნდის კაპიტნად.

● ელიდით თუ არა შეეძინდის ასეთ წარმატებას? — ვკითხეთ კახიაშვილის მწვრთნელს ივანე გრიგერაძეს.

— კახის წარმატებას მეც ველოდი და სამჭიმოს ნაკრების მწვრთნელებიც, მაგრამ ყველაფერი, მათ შორის ხუთი თვის განუწყვეტელი ვარჯიში და ოფლის ღვრა, ლამის წყალში ჩაგვეყარა. სამი ის იყო, რომ ვიზები ოთხი დღის დაგვიანებით მივიღეთ. ამერიკაში ოცდახუთში, დილის 4 საათზე ჩავფრინდით. სხვა გზა არ იყო, იმავე დღეს ყოველგვარი აკლიმატიზაციის გარეშე ჩავებით შეჯიბრებაში. უკვე 11 საათზე სპორტსმენთა აწონა იყო დანიშნული. ყველაფერმა ამან მაშინვე გამოიწვია უსიამოვნება. ჩვენი გუნდის წევრმა, ჩჩმაიძისელმა მაის თითეოსმანმა (52 კგ) ზედმეტი ერთი ცალი ორგარამი ვეღარ დაიკლო და შეჯიბრების გამოუთმაშა. ასპარეზობა, რომელიც ფლორიდის შტატში, პატარა სუპერორტ ქალაქ ფორტ ლოდერდეილში ჩატარდა, საკმაოდ ძნელ პირობებში მიმდინარეობდა. თავად წარმოდგენით, თერმომეტრი ჩრდილში პლუს 40 გრადუსს უჩვენებდა.

იხ. მე.2 გვ

ოსტატი და შეგირდი — ივანე გრიგეროვი და კახი კახიაშვილი.

ჯემალ კახრამანის ფოტო.

საქართველოს სარბიელზე თავგამოჭრილ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს ასპარეზობიდან დაბრუნებისთანავე საქართველოს სპორტსახელმწიფო ეწვევნენ. ახეთი ტრადიცია. ამ დღეებში სპორტსახელმწიფოს სტუმრები იყვნენ კ. კახიაშვილი და მისი მწვრთნელი ი. გრიგერაოვი.

სპორტსახელმწიფოს ხელმძღვანელებმა გამოარკვიეს მიუღიცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს სპორტსმენს და მის მწვრთნელს.

შეხვედრისას აღვნიშნეთ, რომ აქვს რეალური საფუძვლები რესპუბლიკაში ძალოსნობის ახალორგანიზებულ, ლიდერს, რომელიც კ. კახიაშვილის სახით მოგვეცნია, უთუოდ გაამყვნებიან ახალგაზრდები.

ოლეგ სტრიჟაკოვი და ტარიელ ბინწაძე

დინამოელები მძლეოსნებმა თბილისელმა ოლეგ სტრიჟაკოვმა და სოხუმელმა ტარიელ ბინწაძემ თავი გამოიჩინეს მძიმე ზნაგნისკების საერთაშორისო მემორიალში. ამ შეჯიბრებაში, რომელიც ამჯერად ეიღუვიტაიში გაიმართა — ატლანტიკოსში 10 კმ-ზე რბენაში და ბიწაძემ ბირთვის ცვრაში მეორე ადგილები დაიკავეს.

ინფორმაცია

ბაკუ. (სპეციალური, 12 ივნისი). ჭადრაკში ვაჟთა „მსოფლიო თასის“ გათამაშების მორიგ ეტაპზე გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ვაჭანიანმა (შავი ფიგურებით) დაამარცხა იუსპოვი, ხოლო ელვესტასი და პოლანდელი ტიმანის პარტია ყაიმით დამთავრდა.

შედეგ ტურის შემდეგ წინაა მსოფლიოს ეჩჩემპიონი ა. კარპოვი — 5 ქულა ექვსი შეხვედრიდან. ოთხოთი ქულა აქვთ სალოვს და ვაჭანიანს, მაგრამ პირველმა მხოლოდ ექვსი პარტია თამაშა.

პოლონეთი. ქალაქ პოტკუვი-ტრიბუნალსკში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა ტრადიციულ შეჯიბრებაში ორი ტურის შემდეგ ერთმანეთად ოთხი მონაწილე ლიდერობს, მათ შორის ქეთევან ხახიაშვილი და სვეტლანა მატვეევა. დაწინაურებულ ჯგირუტაძეს თითოეულს 1,5 ქულა აქვს.

ტურნირში მონაწილეებენ გდრის, საბერძნეთის, ესპანეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩინეთის წარმომადგენლები.

ჩემპიონის ოქროს გედანი ჯემალ მჭედლიშვილს

ალვა-ათა. ბამბისტთა სპორტული ჩემპიონატის ბოლო დღის მიღწევის კომპლექტები ვათამაშდა 82 კგ და მძიმე წონებში. ამავე დროს გაიმართა შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი. პირველი ადგილი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა დაიპყრეს, რომლებმაც სულ მცირედით ჯერჯერობით მეორე ადგილზე გასულ მოსკოვის კოლექტივს. მესამე გუნდური ადგილი ჩემპიონატის მასპინძლის — უზბეკეთის ნარჩენს ხვდა.

82 კგ. პაკანტური სტუდიელი ზურგზე ჰიდიმპაზეც იქნება. ჯემალ მჭედლიშვილს, მაგალითად, აქვს ყველა უმაღლესი ტიტული (მსოფლიოს ჩემპიონის, ევროპის ჩემპიონის, მსოფლიო თასის მფლობელის), აი, სპეციალოდ კავშირის ჩემპიონი კი ჯერ არ გამხდარა. ამ ნაკლის გამოსწორება თბილისელმა სამხრისტმა ალმა-ათაში სცადა და მიზანსაც მიაღწია. ფინალში მისი მოტრფე შარშანდელი ჩემპიონი, ერაასნოვარელი ჰოსეინ პაიზოლავი იყო, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა ტატულის შენარჩუნებას. მაგრამ მჭედლიშვილი უფრო აქტიურად, უფრო გამგებლად იბრძოდა და ბოლოს ჩემპიონიც გახდა.

ბრძოლა ადგილი და ბრინჯაოს მედლები ბაზნაულებმა ვიაჩესლავ ელისტრატოვმა და რიაზანელმა ალექსანდრ ზაფუბროვსკიმ მოიპოვეს. ამ მოჭიდავეთა წარმატებამ საბოლოოდ გადაწყვიტა გუნდური პირველობის ბედი რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეთა სასარგებლოდ.

მძიმე წონა. ფინალში მონაწილეობის უფლება ორმა გიგანტმა, მოსკოველმა ალადიმერ შალოვმა (წონა — 150 კილოგრამი) და მინსკელმა გლადიმერ ემელიანოვმა (110 კგ) მოიგო. შალოვის მხარეს იყო გამოცდილება (იგი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია), დიდი ფიზიკური ძალა (40-კილოგრამიანი სხეთობა წონაში მისკოველ გარკვეულ უპირატესობას აძლევდა) და ბრძოლის ბედიც საბოლოოდ სწორედ ამ ორმა ფაქტორმა გადაწყვიტა.

სანახაობრივად ეს შეხვედრა არ იყო გამორჩეული. შალოვმა 6 წუთის განმავლობაში მხოლოდ 1 ქულა აიოთა მეტოქეს და ეს მინიმალური უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. მინსკელი სამხისტი დიდი მონდომებით იბრძოდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ჩემპიონს.

ბრინჯაოს მედლები ამ წონაში სიმფერპოპოლელმა ექტორ სერდიუკომა და ბაზნაულელმა სტანისლავ ბელიასმა დაისაკუთრეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუძეცელი საქართველოს სპორტის ისტორიიდან. 1911 წელი, ქუთაისი. ქალაქის რაბატზე სასეირნოდ დროზაზე ვხედავთ ქალბატონებს „შევარდენის“ ერთ-ერთი თავადი ი. გაბაშვილი.

იხ. მე-2 გვ.

მხეარგებიან გაშვებას

მეათედი

ფაზი

თბილისის ჭიდაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის პირველობა 64-ურედიან შაშში.

ქალთა ტურნირში, სადაც 14 მოთამაშე ითბორთა, საინტერესო და დაძაბული ბრძოლა შეიდეგ 12 ქულით I ადგილი დაიკავა თბილისის უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტმა, საქართველოს ეკსჩემპიონსმა ლალი ჩოგბახიძემ. 10-10 ქულით II-III ადგილები გაიყვეს თამარ ხორბალაძემ და დიანა ავალდიანმა. კოეფიციენტით II ადგილი ხორბალაძეს მიენიჭა.

ვაჟთა ტურნირში დაძაბული ბრძოლის შემდეგ I ადგილი დაიკავა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა მუშაობამ, საქართველოს 7-გზის ჩემპიონობა, სპორტის ოსტატმა ალექსანდრე ბერუაშვილმა. აღსანიშნავია, რომ იგი მეათედ გახდა თბილისის ჩემპიონი. მან ტურნირი დაფმარცხებლად ჩაატარა და საბოლოოდ 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა. დიდ წარმატებას მიაღწია ტურნირის დებიუტანტმა ბესიკონ ყორყოლიანმა, რომელმაც ტოლი არ დაუდო გამოცდილ მოშაშეებს და საბოლოოდ 6,5 ქულით II ადგილი დაიკავა. ყაინტერესოა, რომ პირველთანრეგისტრაციაზე ოსტატობის კანდიდატს წოდება, II ადგილი და საქართველოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურიც მოიპოვა. 6-6 ქულით III-IV ადგილებზე გაეიდნენ ოსტატობის კანდიდატები ვ. კოჩიაშვილი და ვ. ხარებოვი.

თენგიზ რენეიაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ოსტატი და შეგირდი — ივანე გრიგეროვი და კახი კახიაშვილი.

ჯემალ კახრამანის ფოტო.

ვოლეიბოლის მინიჩემპიონატი

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

კლასიკურ ჭიდაობაში — კობა ლანჩავას (ქუთაისი, პროფკავშირები), მამუკა ბურდულას (ცხაკაია, პროფკავშირები), დავით რუხაძეს (ქუთაისი, „დინამო“), ნუგზარ დუმბაძეს (ბელეაბურის რაიონი, პროფკავშირები), ნიკოლოზ ბუგაიანიშვილს (თბილისი, პროფკავშირები), მერაბ გაბიძაშვილს (სოხუმი, პროფკავშირები), მიხეილ გელენაურს (თბილისი, შეიარაღებული ძალები).

წლევანდელ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის, სამტრედიის, მახარაძის, ბოლნისის, ყრასნოდარის, ერევნისა და საქართველოს სპორტშეკრებითი კლუბის გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა საქართველოს სპორტშეკრებითი კლუბის ნაკრებმა, მეორე ადგილზე გავიდნენ სამტრედიელი, მესამეზე — ერევნელი სპორტსმენები.

ზ. ჯარათიანელის ტექსტი და ფოტო.

„ოლიმპიურ გრუზიის“ პრიზზე

ქარტინგი ჩვენი სპორტის მოყვარულებისთვის უცხო არ არის. დღეს ეს სახეობა გაცილებით პოპულარული იყო — თბილისის გარდა ჯგუფები (განსაკუთრებით სისტემით) რესპუბლიკის სხვა ქალაქებში და რაიონებშიც მუშაობდნენ. ახლა? ახლა მხოლოდ ღია საჰაერო ორგანიზაციებს შემორჩა იგი.

სპორტის ამ სახეობის პოპულარობას ემსახურება ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე.

იმედი

(დასაწყისი)

● კახი, ვინ იყო თქვენი ძირითადი მეტოქე, იცოდით თუ არა რაიმე მის შესახებ?

— თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა კუმელი ხიზე ხეტიფდისთან მოიწევდა. ამ სპორტსმენს ორი წლის წინ შეეხადი ბუღაგირეთში გამართულ საკრთაშორისო ტურნირ „შეგობრობაზე“. მაშინ მან ორჯერდი 2,5 კილოგრამით მაკოპა. ამჯერ დარწმუნებული ვიყავი, თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდებოდა, ჩემპიონობას ამჯერად შევეცილებოდი ზუსტად მეტოქეს. ხიზეს აკლდა სწორედ 160 კილოგრამი დაძლია, მე — 165. აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ ხიზეს თავგამოდებულად ჰქონდა შეპირებული ამერიკაში ცხოვრები კუნელი ემიგრანტები.

ივანე გრიქურაული: როგორც წყვილ, საწყისი წონების საკითხს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ოლეგ პისარევსკი წყვეტდა. ამის გამო ახლა სხვადასხვანაირად არ გვქონია. სამაგიეროდ, ნაკრების ხელმძღვანელობა მთლიანად მომენტში, რომ კახი იმ დღეებში ინდივიდუალური გეგმით მევარჯიშებინა. პარალელურად უმეტესობა ბოლო ვარჯიშებს მსუბუქად ატარებს, დაახლოებით მეხუთეს — 3-4 ტონა დატვირთას იღებს. კახი კი შეჯიბრებამდე უკეთესად მაშინ გამოდის, თუ ჩვეულებრივი რეჟიმით ვარჯიშობს.

კახი კახიშვილი: ხიზეს 165 და 170 კილოგრამიც დაიმორიგლია და გამოსულა ამით დაამთავრა. მე 170-ის შემდეგ 172,5 კილოგრამი შევუკვეთე (ჩემი პირადი რეკორდი 177 კილოგრამია). სამწუხაროდ, ატაცებული წონა ვერ დავიფიქსირე. ნაცვლად საკუთარი წონის გამო პირველი ადგილი ხიზეს ხვდა. აკვარში ფიცარნაგზე პირველი კუბელი ათლეტი გამოვიდა. მან ჭერ 200 კილოგრამი ასწია. შემდეგ 205-ზე და 207-ზე მიიტანა იერიში, მაგრამ ამაოდ. მსოფლიო ჩემპიონობის მოსაპოვებლად ჩემთვის საკმარისი აღმოჩნდა ჯამში წონის — 202,5 კილოგრამის დაღება.

ივანე გრიქურაული: მომდევნო ცდაზე კახიმ ოლიად ასწია 215 კილოგრამი და იერიში მიიტანა მსოფლიო რეკორდზე, რომელიც 1982 წელს დაამყარა იური ხაბარეევიჩმა (222,5). შარშან ნოემბერში კახიმ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში 225 კილოგრამი დაძლია. ეს იყო მსოფლიო რეკორდი ახალგაზრდებს შორის. გასული „სოვეტსკი სპორტი“ ამის შესახებ თურქეთში კიდეც, მაგრამ შემდეგ დებულების თანახმად უმაღლესი ჩიდწეა მხოლოდ მაოდენი ჩემპიონატებზე ფიქსირდება და ამიტომ კახის მიღწევა ოფიციალურად ვერ გაფორმდა. ასე რომ, ამჯერად კახის მეორედ დასჭირდა თავისი რეკორდის დამყარება — 225-კილოგრამიანი შტანგის კიდევ ერთხელ დამორჩილება. ოჩქიდის „კამი კახის 25 და 35 კილოგრამით გაუსწრო მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ხიზე ხერეფიას და საბჭოთა კავშირის წელვანდელ ჩემპიონს იუნოროვს შორის დიმიტრი ვასანს.

კახის შედეგი აბეთხი 15, ხოლო აკვარში 2,5 კილოგრამით ჩამორჩება საუკეთესო ოლიმპიადაზე ამ თანაწონის ჩემპიონის — ანატოლი ხრიაპის მიერ ნაჩვენებ შედეგს. თუ ამიხაც კახიზე ექვსი წლით უფროსია, ალბათ უნდა ვთვეიტროთ, რომ მის ჩვენი ძალისხმის მხრიდან „ხიფათი“ ემუქრება.

ივანე გრიქურაული: ჩვენი მიზანი ცხადია, ისაა, რომ მომავალში კახიმ თავისი უპირატესობა დიდებულ დონემდე აიყვანოს. ვნახოთ, კახის ვარჯიშზე უკვე დაძლეული აქვს 180 და 230 კილოგრამები. ეს შედეგები, მოგეხსენებათ, ატაცებ 15 კილოგრამით ჩამორჩება ბუღაგირეთ ბლაგოევის რეკორდს (1983 წ.) და 5 კილოგრამით — ხრაპატის მიერ აკვარში დამყარებულ რეკორდს. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიო რეკორდი კიმეროვეულ ვიქტორ სოლოდოვეს ეკუთვნის (ოჩქიდი, 422,5 კგ), რომელმაც ეს შედეგი ექვსი წლის წინათ აჩვენა. ბლაგოევისა და სოლოდოვის რეკორდები საკმაოდ „ხანდაზმულია“, რაც ძალისხმისათვის უჩვეულოა. მაზეზი ისაა, რომ დოპინგზე დაწესებულმა ძალიან კონტროლმა ათეთრეულ მოძრაობაში, 20.12.25 კილოგრამიანი კი ჯაფარესა ძველ რეკორდები. დღეს სადოპინგო კონტროლი უადრესად მკაცრია. თუ ერთი ქვეყნის გუნდში წლის განმავლობაში სამი ასეთი შემთხვევა გამოვლინდა, მსოფლიო ძალისხმის ფედერაციას მას ერთი წლის დისკვალიფიკაციას აძლევს. მაღლობა ღმერთს, კახის სწორედ ისეთ დროს მოუხდა ძალისხმის სარბიელზე გამოსვლა, როცა წარმატებას, მართლაც, ახლოსაც ნიკი და დაუფლაი ვარჯიშობას.

● კახის გარდა სპბჭოთა ნაკრებში სხვებიც გრიგალი ჩუხანაძეც შედის (100 კგ წონით კატეგორია), რომელიც, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდა, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონობაზე უნდა გიმგზავროს. რა გორ ეფასება მის შესაძლებლობებს?

ივანე გრიქურაული: — გრიგალი ნაკრებში მოხვდა, როგორც ჭაბუკთა საკავშირო თამპიონის და იუნიორთა პირველობის მესამე პრიზიორი. იგი გუნდში მიიწვიეს სხვადასხვა-ასაკლებულო სამსახურიდან, სადაც დიდხანს არ ვარჯიშობდა და ამის გამო უწონდეთ სპორტული ფორმა დაკარგა. შეკრებაზე გრიგალის მიერ ნაჩვენებმა შედეგებმა და ამის გამო უწონდეთ სპორტული ფორმა დაკარგა. შეკრებაზე გრიგალის მიერ ნაჩვენებმა შედეგებმა მწვრთნელები ჯაფაზეთ და იგი მეორე პირობით დატოვეს. სულ მალე ჭარიფულმა ათლეტმა თითოეულ მოძრაობაში 15_20 კილოგრამით გაზარდა პირადი მიღწევა. ამ შედეგით იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში მეორე ადგილს დაიკავებდა. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე გრიგალს საკრაზო ადგილზე გასვლის რეალური შანსი აქვს.

● კახი, ბოლოს გეგმებზე რას გვეტყვით?

— დავიწყებ მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც სექტემბერში საბერძნეთში გაიმართება. ჩემს წონაში გუნდი ალბათ ორ სპორტსმენს გამოიყვანს. მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა მომიხდება ანატოლი ხრიაპატთან და სეულის ვერცხლის მედლის მფლობელ ნაილ მუსამედიროვთან.

საუბარი ჩაიწერა ჯემალ კასრაძემ.

...და აფხაზეთის მთისწალელები

კრასნოდარში, ჭაბუკ თავისუფალი სტილის მოჭიდაობით საკავშირო ტურნირში, რომელიც მცირეწლოვანთა კომპლექტის ალეკსანდრე ბერეზოვის სახელობის პრიზზე გამართა, 300-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან; მოსკოველ და ლენინგრადელ გუნდებს მონაწილეობა ხელმოეწერეს აგრეთვე ბელორუსიიდან, უკრაინიდან, ლიტვიდან და ესტონეთიდან. ტურნირის ბოლო დღეებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა გამოსვლა უფრო საყურადღებო გახდა, მათ გუნდურ მეორე ადგილი დაიკავეს რესპუბლიკის შორის. არადა, შეჯიბრება მეტად წარმომადგენლობით ხასიათს ატარებდა. ჩვენ (მონაწილეობდნენ ყველა რესპუბლიკა, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტულ-ტექნიკური კლუბების გუნდები).

სპეციალისტების აზრით, ძირითადად დაკომპლექტებული იყო მე-3 მსუბუქი სატყვსომოტორო საწარმოს ბაზაზე (დირექტორი სპორტის დამსახურებული ოსტატი ზარიბეგ ბერიაშვილი). გუნდის ღირსების იცავდნენ სპორტის ოსტატები ლევან ღლონები და თენგიზ აბჟანდაე, ოსტატობის კანდიდატები აღილ ალეკბეროვი, გურამ-დეკანოსიძე, ზურაი ჭილენტი, გიორგი ალანია (ქუთაისის ხელმძღვანელი ანდრო ღლონი, მწვრთნელი თენგიზ აბჟანდრავა).

მეორე ბარაბანის დიპლომი და ვერცხლის გადაეცა სპეციალურ ნაკრების ხელმძღვანელს ანდრო ღლონიძეს. მრბილი ალაკ ალეკბეროვი დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით „გამარჯვებისაყენ სწრაფვისათვის“. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების სპეციალური პრიზები გადაეცათ შეჯიბრების მთავარ მსაჯს ა. დადაეულ და პრიკულის ახსოლუტურ ჩემპიონს ა. ბოგომოლოვს.

ვურაკ ვალოგლიშვილი.



ს უ რ ა თ ზე: ახპარეზობის მონაწილე.

ავტორის ფოტო.

სპორტი 1918-1920 წლების საქართველოში

ასე ვერდნენ...

ცნობები საზოგადოება „შევარდენის“ ისტორიიდან

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სპორტული ცხოვრების ისტორიაში XX საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს ჭიაორის მანგაბუშის საბაღის ინსპექტორმა კონსეკონორებმა. მაგრამ ცნობები ამ პერიოდის შესახებ მეტად ძუნწია. ამიტომ, ვფიქრობთ, ნაკლებად ცნობილ ორი პატარა ცნობა, რომელიც გამოქვეყნებულია 1919 წელს გაზეთ „საბალთო საქმეში“.

თბილისში ამ დროისათვის არსებული ჩოგბურთის კლუბი. ერთ ცნობაში ქრონიკალიდან განეცხადება ჩოგბურთის ტურნირის ჩატარების შესახებ, ხოლო მეორეში — მისი ჩატარების ფაქტი. დასაბეჭდად გამზადებულია:

„აგვისტოს 10-სა და 11-ს ტფილისის კლუბში გაიმართება სატურნირო შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ინგლისელები“.

1919 წ. 3 აგვისტო.

„აგვისტოს 10-ს ტფილისში გაიმართა ლაუნ-ტენისის შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ინგლისელებმა გენ. ქიორის შეთაურობით და ტფილისელ მოყვარულებმა ვეკუა ჯუღაში.

1919 წ. 13 აგვისტო.

„ჩვენი ერი შეუდგა მედგრად თავის ბედის გაჭედვას ისტორიის ნერვებზე და ღემოკრატიულ წყობილების დამყარებას. უმთავრესად დღეს ეშვიება მშვიდის კოლეხიობრის სულით და სხეულით ძლიერი შეილება, უშიშარი რაინდები. ამ მიღად სათნოებას კი მომაღლებს მათ უმთავრესად ტანის-ვარჯიშობა.

დღეს „შევარდენის“ საზოგადოებანი ბლომათად გერმანეთში, ავსტრო-უნგრეთში, სოფრანეთში, ინგლისში, იტალიაში და სხვ. ამათ ღიდეც ყველგან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ასეთი საზოგადოება დაარსდა ამ რამდენიმე წლის წინათ რუსეთშიაც, სადაც ისახელეს თვი ქართველთა ახალგაზრდებმა, ბ. ბ. ნიკოლაძემ, ბერიძემ, ბერეულიანმა, იფანტაშვილმა, ჯაფარიძემ და თვით ჩვენის ქ. პრაგაში გამართულ შევარდენთა ღიდ შეჯიბრებაზე პიიღეს უმაღლესი ჯილდო და სახელები.

აი, სწორედ ამ ახალგაზრდებს ღაებადათ საშობაოსათვის ფრიად სასარგებლო აზრი, დაარსონ თბილისში პირველად ტანვარჯიშის საზოგადოება „შევარდენი“ და შემდეგ ისეთი საზოგადოებანი მთქფინონ მთელი საქართველო, მეტია თქმა, თუ რა ღიდი სარგებლობა შეეძლოთ მოეტანოს ჩვენს სამშობლოს ასეთმა საზოგადოებებმა ტანვარჯიშით და მით ჭელი ქარაგულის მხრიული სულის მაბრჭეთ.“

ს. ქვაბანი

„საქართველო“, 1918 წ. 30 მარიამობისთვე (ძველით).

„შევარდენი“

„ორშაბათს, 28 აპრილს სახელმწიფო თეატრში, ქართულ ტანსავარჯიშო საზოგადოება „შევარდენმა“ გამართა პირველი თავისი საღამო. პროგრამა შესდგებოდა შედეგებისგან: პირველ განყოფილებაში დადგმული იყო ქართული ოპერა „თქმულება ზოთა რუსთველზე“, მოს. დ. არაყიშვილისა. მიღრე და მესამე განყოფილება კი წარმოდგენილი სპეციალურ სავარჯიშო ნომრებს. საკარჯიშო განყოფილება ღაიწყო ბავშვების ჯგუფის გამოსვლით. მათ ხელჩქრამ და მწყობრამ საოცრად აოფრთოვნება გამოიწვია საზოგადოებაში. თვით ფიგურებიც ოქაზთ იყო შედგენილი და ბავშვებმა ღიდის გატაცებით შეასრულეს. მეორე ნომერი იყო ბავშვთა ჯგუფის ვარჯიშობა ღერეზე, რომელიც სისტემატიურათ ვეთარეგება სიმეტის დაგვიპრა.

წესიერება ღერძთან მოსვლის წინ, ვარჯიშობის დამთავრების შემდეგ და საერთოდ მიხვრა-მოხვრაში საგანგებოდ იყო დაცული.

ვფთი ჯგუფის ვარჯიშობა. ორ ძეულე ღამშვებული იყო გონივრულათ. ვარჯიშობა შესდგებოდა ორ მოვარჯიშესაგან ერთად და განცალკევებით. ამ ვარჯიშობაში განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცევს ჯვრიშვილმა, ბერეულიანმა და ლაფერშვილმა. ამით ვარჯიშობა შესდგებოდა ძნელი ელემენტებისაგან, რომელიც შესრულებული იყო ღიდ თავისუფლებით და სიმშვენიერით.

ნამღერაკით, მეტი სიღინჯე ვარჯიშობის დროს, სიმკაცრე და სისუფთავე გამოიჩინა ჯაფარშვილმა.

ქალთა გუნდის თავისუფალი ვარჯიშობა შესდგებოდა ორ ნომრისაგან ხელოვნური და გრაციოზული იყო შესრულებული.

ვაჟთა ჯგუფის შეჯიბრებამ ღირშეყ ყურადღება მოაქცევინა მაყურებლებსა და ღამსწრეთ. თითქმის ყველა ვარჯიშობა შესდგებოდა საეფექტო ელემენტებისაგან და სჩანს ახალგაზრდობა მეტ ყურადღებას აქცევს ღერძს. თვალსაჩინო მოგარჯშეთ ითვლებიან: ჯაფიშვილი, ბერეულიანი, მერკვლაძე და საყვარელიძე.

ვაჟთა ჯგუფის თავისუფალი ვარჯიშობა შესდგებოდა სამ ნომრისაგან: ყოველი ფიგურა შესრულებული იყო ქართულ ფესიკეს კილოზე და თვითონ ვარჯიშობა ღიდის კეკლუცობით და პლასტიკით იყო ღაღვმული. მეტი ყურადღება მიიქცია პირველმა და მეკამე ნომერმა.

ოთხი სიმპოლიური სურათი „შევარდენობა იყო, როგორც იღეით, აგრეთვე მის დაკმაღით. მხოლოდ საჭიროა შესამე სურათს მეტი სინათლე მიეცეს, რომ უფრო ქკაფიოდ გამოჩნდეს უკანა ფონი.

საერთო პირობიდან თავის სილამაზით, სიღინჯით და ეფექტით დასრულა საღამეო, პირველი ტანვარჯიშობის „შევარდენის“ სალამო.

უნდა ავღნიშნოთ, რომ „შევარდენი“ დაარსება ჩვენში ღიდი საჭიროებით საქმეო ჩაიშვეულა. უპირველესად ეხებიან განსაკ, ღიდნინ და სიცოცხლის ენერგიით სავსე ახალგაზრდობას.

შემდეგ ამ მიმართულებას აქვს ღიდი აღსაჩინო მნიშვნელობა.

სასიამოვნო იქნება თუ „შევარდენი“ თავს მოეყრის ყველა ახალგაზრდა მოსწავლეს და ერთანაირად განვითარებს, როგორც განსრულობას და სხეულის სიმტკიცეს, ავრეთვე სულის ესთეტიურ სიმღერდრესაც. ამისათვის საჭიროა ესთეტიკით, თავის გამოკვლის ეს რამე ოპერების დადგმის მაკეტს, მოიწეთ ხელოვნების მოსწავლეები და ერთად პარალელურად დაგანახონ თუ როგორ და რა გზით ვითარდება ჩვენი ახალგაზრდა თაობა.

ბ. გ. ივნატაშვილმა ერთხელ კიდევ ღაგვიმტკიცა ხელმძღვანელობის ნიჭი და გვაიმედოვნებს, რომ თავის ცოდნით და გამოცდილებით ამ საგანგებოთ გაანვითარებს სეროსზედად ღაყენებულ საქმეს.

მაღლობას ღირსია „შევარდენის“ გამგეობა, რომ ასე სინდისიერად და მტკიცეთ შეუდგა ამ ღარგის განვითარებას, რასაც ღიდი მომავალი აქვს“.

ვურკაბაძე

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. 7 მაისი.

„შევარდენი“ საზოგადოებაში

„ჯვრის ტოს 12 ტფილისის საზოგადოების „შევარდენის“ დარბაზში შესდგა სრულიად საქართველოს ტანვარჯიშობის მასწავლებელთა კრება არსებული პროფესიონალური კავშირის ცერკაბინეტის მოსახღენად და ახალი გამგეობის ასარჩევად. კრებაზე გამოირკვა, რომ ეს საკითხი, როგორც ახალი, წინღაწერ ყოველ მხრივ შეუსწავლის საჭიროებას, ამიტომ გ. მერკვლაძის წინადადებით კრებამ ირჩია სპეციალურად შემდგარი კომისია, რომელშიც შევიდნენ: გიორგი მერკვლაძე, ივანე მაჭავარიანი და ამოლოს ხიჯაკაძე. კომისიას ღაევალა განსახილოს არსებული წესდება, შესაფერი ცვლილებები შეიტანოს, შეიმუშაოს მომავალი კავშირის გამგეობის წევრთა კანდიდატების სია, შეიმუშავლოს ყოველ მხრივ ეს საკითხი და მოსხენებით წარსდგეს კრების წინაშე, რაც შეიძლება მოკლე დროში“.

„სახალხო საქმე“, 1920 წ. 15 აგვისტო.

პუბლიკაცია მოამზადა ვალერიან ნოდიამ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ

საუკეთესოთა შერჩევისათვის

საქართველოს პირველობა ხარაგაული, რომელშიც კარგად ჩანს თუ რა მდგომარეობაა ბიძრების ამა თუ იმ სახეობაში რაზონალური ჭალეჭებში და რაიონებში, რა რეზერვი გააჩნია ჩვენს რაზონალურ ჭალებს, რა შეიდგების უნდა ველოდით შემდგომში.

ასე იყო ომში, ადრეც გაიმართა საქართველოს ჭალეჭობა 1969-1971 წლებში დაბადებული თავისუფალი სტილის მოჭიდაობაში შორის. ეს პირველობა ერთგვარ სამზადისს წარმოადგენდა მომავალი, IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისათვის, რომელიც გაიმართება 12-18 ივლისს ფონეულში. ომში ჩატარებული პირველობაზე შემოწმდა და გადაისინჯა საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატთა მონაცემები და მომზადების დონე, მათი სპორტული ფორმის მდგომარეობა, რათა გუნდი დაკომპლექტდეს მარათლაც საუკეთესო მოჭიდაებითვის.

პირველობა - საინტერესოდ და უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა. ყველა მოჭიდავე ძალების დაუზოგავად და თავდადების ობრძოდა, პირველობის შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, უნდა დაკომპლექტებულიყო საქართველოს ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც გამოსულა ყველა ქართველი მოჭიდავის ოცნებაა.

21 ივლისი

48 კგ. 1. ბიდრა რომანიძე (აჭარა), 2. ანზორ გაბოიანი (გორი), 3. გოჩა კორკოძე (ქუთაისი).

52 კგ. 1. ვლადიმერ ლესნენკო (თბილისი), 2. ბიდრი ქარდავა (სოხუმი), 3. პეტრე ლასენო (თბილისი).

57 კგ. 1. დავით ბელთაძე (სამტრედია), 2. გიორგი ბერიაშვილი (თბილისი), 3. კახაბერ ქვაშილავა (სოხუმი).

62 კგ. 1. ზაზა ზიზიორი (გორი), 2. კახა ლეკვეიშ, 3. კახა გეგეჭაძე (ორივე ქუთაისი).

68 კგ. 1. კობა დოღუზაშვილი (თბილისი), 2. ჭემალ კოლაე (აჭარა), 3. ივანე საბაშვილი (გორი).

74 კგ. 1. კახა გოგოლაშვილი, 2. დავით ბაბელაშვილი, 3. მიხეილ ხუროკოე (ყველა — თბილისი).

82 კგ. 1. კახა ჯაბიძე (მთაკოჟესკი), 2. თემურ გაგაშელი (ონი), 3. მალხაზ ტოფაძე (ქუთაისი).

90 კგ. 1. აკაკი ჩხიკიძე (ქუთაისი), 2. კობა ჩაბაკაური (თბილისი), 3. ვანო ჭანტურაძე (ყვარელი).

100 კგ. 1. ზაზა ბენგიაშვილი (ონი), 2. ვეფხია გელეტაშვილი (თბილისი), 3. რაფიელ ღლონტი (აჭარა).

მძიმე წონა. 1. აკაკი ბაკურაძე (აჭარა), 2. გიორგი ჯანელიძე (ქუთაისი), 3. ბესიკ ბურდული (თბილისი).

სსრ კავშირის ჭაბუკთა ჭიდაობის ჩემპიონატის XIII ტურის შეხვედრა ტყიბულში ჩატარდა. ოქროს მედლის მფლობელი ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც გამოსულნი იყვნენ ოთხი ახალგაზრდა, ვაჟკაცურად იბრძოდა, მაგრამ ჩვენთვის ბედი არ აღმოჩნდა. ტყიბულელებმა ქუთაისელები 4:1 ანგარიშით დაამარცხეს.

ტყიბულელებმა ოთხი ქულა მოიპოვეს ტექნიკური ხერხით, ხოლო ქუთაისელებმა ერთადერთი ქულა მიიღეს ტექნიკური ხერხით გამარჯვებული ბ. ბურდულის მეშვეობით.

ბ. ბურდული ტექნიკური ხერხით ამარცხებს ქუთაისელ ვ. ჭანტურაძეს.

პირველი ლიგა

„თბილისური რაგბის კერიაულს“ დღეებში გაიმართა პირველი ლიგის გათამაშების XIII ტურის მატჩებიც. ჩვენს გუნდებს ჩვენ მოვიცარათ. თბილისის ასკ დამარცხდა ლენინგრადის „ელექტრონმაშთან“ — 9:15 (6:0), „მიმინომ“ კი გათამაშების ლიდერთან — („ლიეპაია პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან წააგო — 12:22 (3:9).

რამ გამოიწვია მასპინძელთა მარცხი? ერთი რომ, ორივე გუნდი სხვადასხვა მიზეზთა გამო სეზონისათვის რიგიანად ვერ მოემზადა; ამასთან, რაკიღა არცალებიც და „მიმინოც“ ლიგის ახალბედები არიან, აშკარად აკლიათ გამოცდილება, რის გამოც ზოგჯერ „მოგებულ“ თამაშსაც აგებენ.

აიე დიმართა ასკ-ს. მოუხედავად იმისა, რომ ლენინგრადელებთან შეხვედრაში გარე ნახევარმცველის არასწორი თამაშის გამო არმიელთა უძლეოესი ბოლო — სამწუთიანველთა ხაზი (ბუსელაა, მაღალშველი, ჩიქვანიძე, შანიძე), ფიქტიურად, უბურთოდ დარჩა, მარტოდენ მარჯანიშვილისა და მცველ მიხეიტიძის ოსტატობის ხარჯზე მასპინძლები მაინც დაწინაურდნენ. მერე და მერე თბილისელები გალაღდნენ - ლენინგრადელები ორჯერ სასწაულით გადაურჩნენ ლეღოს, მაგრამ შემდეგ თავადვე გამოიღეს ხელი, ვეტერანმა ია.ოთამ საჭიროების, ლეღოსა და გარდასახვის გატანით სტუმრები დააწვინეს. მარჯანიშვილმა მაინც გაათანაბრა ანგარიში (9:9), მაგრამ თამაშის ბოლო წუთზე მასპინძლები „ამჩატდნენ“, თავიანთი 22-ქულიანი მოეცილნიდან ევანტერისტული ეერიში წამიოვეს და ორქულიანი უპირატესობა აშკარა იყო. 21-ე წუთზე ანგარიში გახსნა ბებეტომ, მცირე ხნის შემდეგ პოლიტექნიკელთა მცველმა სოხრანიმ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, შესვენების შემდეგ კი თავი გამანიონეს გომელაშა და ჩაიღეზა.

ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0 (2:0) და, როგორც უცხოური პრესა იუწყება, ისინი ახლა ისვეთ ლამაზი, ეფექტური, ტემპიანი თამაშით გამოირჩევიან, როგორც მაშინ, როდესაც მესაზეგე მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა.



პირ განაცხადა: „ვინც ამგვარი გზით ფიქრობს ჩვენი ფეხბურთის დონის გაუმჯობესებისაკენ, მას საბერთოდ არა აქვს წარმოდგენა ფეხბურთზე“.

ფ. ბეკენბაუერმა გაზეთ „ველტ ამ ზონტაგის“ ფურცლებზე გამოთქვა თავისი აზრი. იგი მოითხოვს ბუნდესლიგის (უმაღლესი ლიგა) შემადგენლობა 18-დან შემცირდეს 16 გუნდამდე. პირველი წრის დამთავრების შემდეგ პირველ 8 ადგილზე გასული გუნდები გათამაშებენ ჩემპიონის წოდებას, ხოლო მომდევნო ადგილებზე მყოფი კლუბები ხელახლა შეეჯიბრებიან ბრძოლას ბუნდესლიგაში დგომის შესანარჩუნებლად. მწვრთნელის აზრით ბუნდესლიგა ამჟამად ისეთი სიძლიერისა აღარაა, რომ 18 გუნდის ხარჯებს გაუძლოს, დასავლურ გერმანიის კლუბებში მომრავლდენ საშუალო დონის უინტერესო ფეხბურთელები, მათი ცქერა კი მაყურებელს აღარ სურს.

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ — ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ

ᲝᲣᲚᲘᲜᲒᲐᲛ მწვრთნელმა იოსებ სკობლარმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ესპანეთის ჭაბუკთა რომელიმე კლუბის შემადგენლობაში თამაშზის.

ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ძირითად შემადგენლობანი ● მდგომარეობა 18 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	18	9	8	1	26-6	21
„დინამო“ (დნეპროპეტროვსკი)	18	7	4	2	15-8	18
„ტორპედო“ (მოსკოვი)	18	6	6	1	15-7	18
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	18	6	5	2	18-13	17
„დინამო“ (კიევი)	18	6	4	3	17-10	16
„ვალენტინი“ (ვოლნოვუხა)	18	6	3	5	15-16	14
„დინამო“ (მინსკი)	18	5	4	5	14-14	14
„არარატი“ (ერევანი)	18	5	2	6	11-18	12
„დინამო“ (მოსკოვი)	18	4	4	5	19-14	12
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	18	4	4	4	18-13	12
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	18	3	5	4	11-12	11
„დინამო“ (თბილისი)	18	2	6	4	9-11	10
„პამირი“ (დუშანბე)	18	2	5	6	8-19	9
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	18	3	2	7	8-17	8
„შაბტიორი“ (დონეცკი)	18	2	3	8	6-15	7
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	18	2	3	8	6-17	7

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XIII ტურის შეხვედრა ტყიბულში 10 ივნისს ოდესის „ჩერნომორეცი“ და ერევნის „არარატს“ შორის დამთავრდა ოდესელი ფეხბურთელთა გამარჯვებით — 3:1.

საქართველოს პირველობა

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲮᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲮᲐᲠᲔᲑᲐ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მთარგი ტურის შეხვედრები: „სპური“ (ფალენჯიხა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ბათუმი) 1:0, „ალაზანული“ (თელავი) — „შხეორი“ (გალე) 4:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „დინამო“ (გაგრა) 1:0, „ალინი“ (ბოლნისი) — „მთგრეკანი“ (წყალტუბო) 1:1, „ბაბტრაინი“ (ახმეტა) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1, „ეფერია“ (ხაშური) — „დურუჯი“ (ყვარელი) 4:0, „არმაზი“ (მცხეთა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2.

„ᲕᲔᲘᲜᲤᲚᲘᲢᲘ“ — ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ქალაქ პორტლენდის 17 მოსწავლე გოგონა, რომლებიც საფეხბურთო კლუბ „ვეინფლიტის“ წევრები არიან, ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში.

მთხსკში „ვეინფლიტმა“ ორი შეხვედრა გამართა საწარმოო გაერთიანება „ინტეგრალის“ გუნდ „ელექტრონგასთან“. ორივე შეხვედრა მოიგო მთხსკელმა ფეხბურთელებმა — 5:1 და 5:0. ამერიკელ ფეხბურთელ გოგონებს ახლა ელოდებათ ტენინგრადელ ფეხბურთელებთან შეხვედრა.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ რიო-დე-ჟანეიროში შეიდა ბრაზილიელთა და პორტუგალიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი, იგი მიეძღვნა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის 75 წლისთავს.

ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0 (2:0) და, როგორც უცხოური პრესა იუწყება, ისინი ახლა ისვეთ ლამაზი, ეფექტური, ტემპიანი თამაშით გამოირჩევიან, როგორც მაშინ, როდესაც მესაზეგე მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა.

მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. 21-ე წუთზე ანგარიში გახსნა ბებეტომ, მცირე ხნის შემდეგ პორტუგალიელთა მცველმა სოხრანიმ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, შესვენების შემდეგ კი თავი გამანიონეს გომელაშა და ჩაიღეზა.

ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა ევერიას კლუბების მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის პორტუგალიაში მყოფი რაკარდუ, ვალდუ, გომესი და სილაშა. პორტუგალიელებს ამ დღეს აკლდათ ფუტრა და ბარეშა.

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლაზარონემ ტურნირის გაიმარჯვეს, რომ ევროპის გამოვლენების ნაკრების იმ შემადგენლობაში, რომელიც ევროპაში მიემგზავრება სამი ამხანაგური ერთთვრიანი მატჩის ჩასატარებლად. 16 ივნისს ბრაზილიელები ითამაშებენ შვეიც ნაკრებთან, 18 ივნისს — დანიის გუნდთან და 21 ივნისს — შვეიცარიელებთან.

პირველი ლიგის კლუბ „რეალთან“ (ვალადოლიდი).

ᲛᲘᲜᲐᲓᲐ ᲚᲘᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ?

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ უნგრელი სპეციალისტი დიერდ მეზეი, რომელიც ორჯერ ედგა სათავეში ეროვნული ნაკრების და ორჯერვე ამცუნებული ვინც ბაზისმა ევროპელ ალეი გადაჰგდეთ, ალეი გადაჰგდეთ ფინეთში წამოვიდა. მან ერთი წლით მოაწერა ხელი კონტრაქტს ფინეთის მესამე ლიგის კლუბ „ჰანგონთან“.

ᲑᲐᲠᲡᲘᲜᲘ ᲘᲝᲗᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲔᲮᲗᲣᲠᲘᲡ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ „ლივერპულისა“ და ინგლისის ნაკრების ცნობილმა ზაგმა ფეხბურთელმა ჯონ ბარნსმა ტურნესოლტებს განუცხადა, მას ძალიან მოსწონს კეტბურთი, ამიტომაც ცნობილის ფეხბურთის საზაფხულო ორდადგილის აშშ-ში გადატარებს. ჯ. ბარნსი ამირეს აშშ-ს კეტბურთის რომელიმე კლუბის შემადგენლობაში ითამაშოს.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲠᲔᲑᲘᲡ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა ორშაბად გაზარდა საარიმო თანხა, რომელიც შოტლანდიის კლუბმა „ჰიბერნმა“ უნდა გადაიხადოს. თანხა ახლა 147 ათას დოლარს უდრის.

- სამე ისაა, რომ უეფა-ს თანამეთხეტიდან ფინანსიურ მატჩს ტელეტრანსლიაციით დასავეთ გერმანიის „ბაიერნთან“ მოხდა უეფა-ს ნებართვის გარეშე. „ჰიბერნი“ ვალდებულებას გაიხდის ხელშეწყობას განაჩენი გაასაჩივრა, უეფა-ს დამატებით შეიძლება საკითხი და დაადგინა, რომ ტერტ ტელეკომპანია რტლ-ს ტრანსლაციისთვის შოტლანდიის კლუბს 490 ათასი დოლარი გადაუხადა, ეს კი თავდაპირველად გათვალისწინებულ თანხაზე გაცილებით მეტია. ამის გამო გაიზარდა „ჰიბერნის“ ვალიანი.

ᲤᲣᲑᲑᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

საკავშირო ფესტივალის საგზური

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ფესტივალში გამოსვლის უფლება მოიპოვა ბიჭთა კატეგორიის საბერლობის კალათბურთის სპეციალიზებული 58-ე საშუალო სკოლის (დირექტორი მერაბ ქვაჭეიძე) გუნდმა („მართვე“), რომელმაც თანამემფერეულად დაამარცხა „ლოკომოტივის“, სამტრედიის, „დინამოს“ კოლექტივები, ფინალში კი ქუთაისის თანატოლებს ჯობა — 79:36. მესამე ადგილი ხვდა „დინამოს“, მეოთხე — „ლოკომოტივს“.

ეს შეჯიბრება, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა თბილისში ქიროკის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში, იყო რესპუბლიკური პირველობა მინიკალათბურთში 1977-1978 წწ. დაბადებული ბიუჯეტის შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, სამტრედიის, სოხუმისა და თბილისის გუნდებმა. ეს უკანასკნელი ოთხ კოლექტივით იყო წარმოდგენილი („მართვე“, „დინამო“, „ლოკომოტივი“ და „უნივერსიტეტი“).

ტურნირში გამარჯვება გუნდს მინიკალათბურთელთა საკვთრად ეს ტურნირი გამგზავნების უფლებას აძლევდა. ამან, ცხადია, ერთობ გაზარდა ასპარეზობისადმი ინტერესი.

ბავშვებმა ორი დღის განმავლობაში სკოლ, შეორე დღეები კორტეული, შესამეზე — გრიგოლაშის სამეცავლო სკოლის მოედნებზეც გაიგრძნეს.

ლასნიშნავია და მოეულინეული კორტეულთა შორის ეკ ადგილი. აქ სოფლის კულტურის სახლში ჭადრაკის ენთუზიასტის გ. რაფავის თაოსნობით ოცე ცოტა ზნის ჩაპოვალნა საჭადრაკო წრე. კლუბის გახსნისთანავე ჭადრაკი სოფლში პოპულარული გახდა და აი, წარმატებამდე არ დაგვიანა. იმედია, გ. რაფავი და მასი მოწაფეები კიდევ არაერთხელ ისახელებენ თავს.

ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲮᲐᲘᲫᲔ,
„ლელას“ კორ.

„პირად ამგებიათ“ დრო

საქართველოს ატლეტიკის წლევანდელი პირველობის დროსაც ისეთ მონაცემს დაემთხვა, როცა ჟურნალისტებს არა ტრადიციულ უწყვეტად-რეგლამენტურ ინტერესებზე, არამედ რესპუბლიკის ატლეტიკასთან ისტატობის სიერთო დონეზე და პიტენციალზე მიეზიდნა, რა თქმა უნდა, მომავალი პაკეშირო ახალგაზრდული თამაშებისათვის სამზადისი გაგვაეთ. შეჯიბრების დებულებაც ვითარების შესატყვისად იყო შედგენილი — ერთი რომ, მოაკაპარებებისთვის დაწესებული იყო ასაკობრივი ცენზი (1968 და მომდევნო წლებში დაბადებულნი), რაც ახალგაზრდული ძალების დათვალიერების ხელსაყრელ შესაძლებლობას იძლეოდა; მეორე — სათვალაში მიიღებოდა ძნოლად პირადი შედეგები. ამ პუნქტის მიხედვით კი, მოგეხსენებათ, თავის გამოჩენისა და გამარჯვების ფასი ერთ-ორად იზრდება და ავიც მოხდა: პირველობისათვის ბრძოლა ჩვეულებრივზე უმეტესად იყო (შეჯიბრება ხატარად ფოთში), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ფაკორატებს, ფაქტობრივად, წინ ვერავინ გადაუდგა.

ახალგაზრდა ატლეტებში ძალზე პოპულარულია „სხივის“ კლასი. ეს, ცხადია, საგრძნობლად ზრდის კონკურენციას ამ კლასის ნაკეთბით რბოლაში. აქაც ყველაზე საინტერესო პაექრობა „სხივის“ კლასში გაიხადა. მსუბუქ წონაში ფოთელ მიხეილ კილოსონიას და ბათუმელ ამოტ მანჯიკიას „ღუელი“ პირველის გამარჯვებით დასრულდა, მძიმეში კი თბილისელმა ოლეგ პარაფილომა იმარჯვა — მან სოხუმელ ეგვენი მოზგოვის და თავის თანაგუნდელ ანტონი კოლესნიკოვ ა ოპობა.

„470“-ის კლასში ქალთა შორის კონკურენტი არ ჰყავდა ფოთელებს ანასტასია კოხეცკაიას (ვალთოვებამდე მატროფანოვა) და ლალი გერსამიას წყვილს. ვაჟთა შორის კი გაიმარჯვა შერეულმა და მართლაც სხვებზე ძლიერმა წყვილმა — მამუკა გოდიბაძემ (თბილისი) და ვიტალი გახოკიძემ (სოხუმი).

„ვინდჯალიერით“ (ატრიანი დაფით) ვაჟთა ასპარეზობაში, ტრადიციულად, გვათუების დინასტიის წარმომადგენელი რომ იმარჯვებს, ამას ყველა მეველეოდა. ამჯერად პირველი იყო რუსლან გვათუა. გოგონებშიც მისმა თანაკლასელმა, სოხუმელმა ოქსანა შელუპოვამ იმარჯვა.

დანარჩენ ორ კლასში — „ფინნი“ და „კატამარანში“ — ბათუმელებმა იყოფაღეს. „ფინნით“ რბოლაში უძლიერესი იყო რუსლან აბაჯიძე, კატამარანით — იგორ გვარამაძეა და ოლეგ გორელოვის წყვილი.

თ. ჭინჭველია.

თუმცა აჭიშები სანთლით საძებარი იყო

უცნაური ბედი დაჰყვა კულტურიზმს. დიდი ხნის განმავლობაში მას ჩვენში „ბურჟუაზიულ“ სპორტის სახეობებს მიაკუთვნებდნენ და ეკთროვანივით გვარიდებდნენ. ახლა კულტურიზმი სამჭითა კავშირში ოფიციალურად აღიარეს, ფედერაციაც შეიქმნა და შეჯიბრებებიც იმართება, მაგრამ მის მიმართ დამოკიდებულება კვლავ განსხვავებულია: ერთნი სერიოზულად უყურებენ, მეორენი კი ამ სახეობით აღტაცებას ვერ მალავენ. კულტურიზმის თაყვანისმცემელთა რიცხვი არც ისე მცირეა. ამიტომ დაგვარწმუნა თბილისში, პროფკავშირთა კულტურის სასახლეში გამართული კულტურიზმის ტურნირმა „ოქროს საჭრისმა“. მოეხედვად იმისა, რომ ადგილები, როგორც ტყვიან, სანთლით იყო სანებარი, ასპარეზობის სანახავად დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ამ მთავარი კრედე ის იყო, რომ მაყურებლები კარგად ეჩვეოდნენ კულტურიზმის ნიუანსებში, რაც, ცხადია, იმით რომ დი აიხსნებოდა, რომ ანალოგიური შეჯიბრება თბილისში პირშანაც გაიმართა. მაყურებელთა გვარიანი ნაწილი თვითონაც მისდევს სპორტის ამ სახეობას. ამჯერად ტურნირში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ცნობილი კულტურისტი გვყვწია. დიდ ინტერესს წყვიდად ევროპის „გრან-პრის“ მფლობელების, პოლონელთა შერეული ლი ლეს — მალგოჟატ კროლის და ვლადისლავ საბატის. აგრეთვე ლატვიის შარშანდელი ახსოლუტური ჩემპიონის აივარ ვისოცკის გამოსვლები.

პირველ დღეს გამოვიდნენ გამარჯვებულები წონითი კატეგორიების მიხედვით. 70 კგ წონის კატეგორიაში თავი გამოჩინეს საქართველოს თასის შარშანდელმა ფლობელმა, თბილისელმა რაიმულ კორატაძემ. მსაჯებმა მაი გამოვლა როგორც საკალებულო, ისე ნებისმიერი პროგრამით, ყველაზე მაღალ ქულებიც შეაგებეს. რასყისის წარმომადგენლობაში ალექსანდრ კულგინმა და ამავე რესპუბლიკის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა, ჩვენმა თანამემამულემ, ორროსიკიძეო ალუდა ფიქტელაურმა მეხსაბამისად მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს.

განსაკუთრებული ინტერესით ხვდებოდა მაყურებელი თავის კერპს, საქართველოს თასის გათამაშების პროგრამით აბსოლუტურ კატეგორიაში გამარჯვებულს, რუსთაველ დავით რაზმაძეს (80 კგ). დავითმა გუდშემატკივრებს იმედი არ გაუცრუა და თავის წონაში პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი ალეკო ჯანჯგავაზი, მესამეზე — ორროსკიძეო ალიან ინარკოვეი. მომდევნო წონითა კატეგორიებში საქართველოს წარმომადგენელი არ გამოუყვანია. ასპარეზი მთლიანად სტუმრებს დავთმო. 90 კგ. წონით კატეგორიაში, სადაც შეუპოვარი ბრძოლა გაიგადა, გაიმარჯვა პოლონეთის ახალგაზრდულ ნიჭიერმა ორგზის (1984-85 წწ.) გამარჯვებულმა მიროსლავ სეპინდა, II-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს რიგელმა ვლადიმერ გურინოვიჩმა და ეგვენ კოკრინმა.

90 კგ-ს ზევით წონითი კატეგორიაში გამარჯვებაზე პრეტენზიას ძირითადად ორი სპორტსმენი აცხადებდა: ვლადისლავ საბატი და აივარ ვისოცკასი. ამ მიერო დუელში მცირე უპირატესობით კრაჟოველმა სპორტსმენმა გაიმარჯვა. საბატმა თავისი სიძლიერე მეორე დღესაც დაამტკიცა, როდესაც ამ-ორეული წონით კატეგორიაში გაიმარჯვა.

ტურნირის თავისებური ზიარი შესძინა კულტურისტი ქალის მალგოჟატ კროლის მონაწილეობამ, რომელიც ჯერ ინდივიდუალური პროგრამით გამოვიდა, შემდეგ ვლადისლავ საბატთან ერთად.

შეჯიბრების დამთავრებისე შემდეგ მომაკლის გეგმებზე გვესაუბრა საქართველოს კულტურისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ალეკო მაცაბერიძე.

— კულტურიზმმა სამჭითა კავშირში მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც ოფიციალური სტატუსი მოიპოვა. ამიტომ ცხადია, ჩვენს სპორტსმენებს აკლიათ ის დიდი საერთაშორისო გამოცდილება, რომლის გარეშეც წარმატებაზე ფიქრი ძნელია. ეს ხარვეზი ნაწილობრივ წლიურ შეივსება — საქართველოს ნაკრები ამხანაგური ბაჭრი ჩასატარებლად შემოდგომაზე პოლონეთში გაემგზავრება. მანამდე კი გამართება რესპუბლიკური პირველობა, რომლის შედეგების მიხედვითაც დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები.

წლის ბოლოს კავშირში გაიმართება საკავშირო თასის გათამაშება. იქ ჩვენი გუნდიც მიიღებს მონაწილეობას.

ლევან ჯაბაძე.



ვლადისლავ საბატი



დავით რაზმაძე



მიროსლავ სეპუნდა

მალგოჟატ კროლი



რაიმულ კორატაძე

სპორტსმენები „როლან გაროს“ კორტებზე

პარიზი. „როლან გაროს“ კორტებზე დამთავრდა საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. შეჯიბრების უპირველესი სენსაცია გახლდათ ის, რომ მთავარი ჯილდოები 17 წლის ჩოგბურთელებმა მაკულ ჩანგმა (აშშ) და არანტა სანჩესმა (ესპანეთი) დაისაკუთრეს.

ამერიკელმა ჩანგმა (წარმოშობით მისი მშობლები ტაივანიდან არიან) ეიფთი ერთეულების ფინალში დამარცხა უთმწილადონის შარშანდელი ჩემპიონი შვედი სტეფან ედბერგი (6:1, 3:6, 4:6, 6:4, 6:2), მოიპოვა მთავარი პრიზი და... ჩეკი 291 752 დოლარის მისაღებად.

ქალთა შორის გამარჯვება წილად ხვდა არანტა სანჩესს, რომელმაც ფინალში აჯობა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელს შტეფი გრაფს (გფრ) ანგარიშით 7:6, 3:6, 7:5. მომპიონელები აღნიშნავენ, რომ ფინალური მატჩი დღეს გრაფი შეიძლებ იყოო.

ქალთა წყვილებში პირველი ადგილი ნატალია ზვერევასა და ლარისა საჭიროს დუეტმა მოიპოვა, ვეიქში გამარჯვება წილად ხვდათ ამერიკელებს ჯიმ გრააბს და პატრიც მაკინროეს, შერეულ წყვილებში კი პოლანდიელებს მანორ ბოლეზრაფს და ტომ ნისენს.

„დიდი მუზარადის“ მომდევნო შეჯიბრება უომბლდონის ტურნირი იქნება.

ტაისონი — უილიამსი

ჩიკაგო მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა მაიკ ტაისონმა ჟურნალისტების განუცხადა, იგი თავის წოდებას დაიცავს 15 ივლისს მატჩში კარლ უილიამსის (აშშ) წინააღმდეგ.

ჩემპიონის ამ გადაწყვეტილებამ ექსპერტების გაოცება გამოიწვია, რადგან უილიამსი არ მიეკუთვნება მაფლიონ ჩემპიონობის უახლოესი პრეტენდენტების რიცხვს.

ახლა წყდება საკითხი, სად უნდა გაიმართოს ეს შეხვედრა — ატლანტა-სიტყა თუ ლას ვეგასში.

„სპორტლოტო“

მოსკოვში 11 ივნისს შედგა „სპორტლოტო“ მორიგი, 24-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 5 (ათასეულფული ჰიდობა), 7 (ასიკიური ჰიდობა) , 15 (ბაიდარებითი და კანონები ნიჩბორნობა), 20 (ფორსობა), 36 (მბატეური ტანიგრძობი), 42 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (ქალობურთი), 12 (ტანვარჯიში), 22 (წყალში ხტომა), 31 (ფარიკაობა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

რედაქტორი
თ. ბაჩიკიძე.

თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი №2)

15 ივნისი

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)

დასაწყისი 20 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალარაზე 13,14 და 15 ივნისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 13 და 14 ივნისს.

ამ გუნდების დუბლ-შემადგენლობათა მატჩი შედგება 14 ივნისს.

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

უკანონობის შემთხვევაში მატჩი ჩატარდება „ლოკომოტივის“ სტადიონზე იმავე დროს.

დარჩა ერთი ეტაპი

„გრან-პრის“ პროგრამით

რომი. პროფესიულ ველოსიპედისტთა მრავალდღიანი ველოსპორტული „ჯირო დ' იტალიას“ 216-კილომეტრიანი 21-ე ეტაპი (სალერნო-პიაცა) იტალიელმა ჭაბი ბუნიომ მოიგო — 6:26.50.

სიერთო ლიდერობას ფრანგი ლორან ფინონი ინარჩუნებს. მომდევნო ადგილებზე არიან ფლავიო ვანინი (იტალია) და ედვინეი ემპსტონი (აშშ).

კიეველ ვლადიმერ პუნიკოვს ეტაპზე მეცხრე შედეგი ჰქონდა (ჯამარჯვებულს 56 წამით ჩამორჩა), რაგეც პოიტრ უგროვშოვს კი — მეოთხემეტე. ბოლო ეტაპის წინ პუნტიკოვი მეცამეტე ადგილზე იმყოფება და ფინიშთან 9 წუთსა და 56 წამს აგებს, უგროვშოვი — მეთორმეტეზე (12 წუთი და 13 წამი).

პარიზი. ველოსიპედისტ სპორტერ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება „გრან-პრის“ პროგრამით ლენინგრადელმა გალინა ცარიოვამ მოიგო.

ჯაჭვთა ასპარეზობის ნახევარფინალში სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მოსკოველი ნაკრებლოზ კოვში გვრ-ის წარმომადგენელი ბილ პუკთან დამარცხდა. მაგრამ პირველობა ვერც პუკმა მოიპოვა. ფინალში გამარჯვება მსოფლიოს ექსჩემპიონს მიპაღე პიუნერს დარჩა.

ინდიანაპოლისი. აშშ-ს ამ ქალაქში გაიმართა ველოსიპედისტთა კიდევ ერთი შეჯიბრება იმავე „გრან-პრის“ პროგრამით, რომელშიც თავი გამოიჩინა ოლიმპიური ჩემპიონის გინტაუტას უმრასის უმეტესობა ძმამ მინდაუგასმა, რომელმაც ყველას ასობა გამოუვენებით ინდივიდუალურ რბოლაში.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონების ცნობისთვის:
წერილების განყოფილება — 93-97-55, ხაზგარეთ — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-59, „მერანი“ — 93-97-28, „მარეული“ — 93-97-27.

ჩვენი ანგარიში 66435

საქართველოს კპ ც.კ.-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ობექტების ოფსეტური წესით ბეჭდვისა კორპუსი: ხიზანაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

უე 10375